საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/4569
10/07/2026

4569-01-2-202607101429

მაია ქერელაშვილს (პირადი ნომერი 40001001492)

მისამართი: ქალაქი თბილისი, სოლიკო ვირსალაძის ქუჩა №2/4

ელ-ფოსტა: maiapavlenishvili78@gmail.com

ტელ.: 597 775 254

ქალბატონო მაია,

გაცნობებთ, რომ სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 10 ივლისის №04/1077 ბრძანებით, სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო), თქვენი 2026 წლის 29 ივნისის №01/5901 განცხადების საფუძველზე, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის, ი/მ თამარ გოგიას (პირადი ნომერი 62001042721), მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სსიპ – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში – პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს უფლება აქვს:

ა) ჰყავდეს წარმომადგენელი;

ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;

გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;

დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;

ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

დამატებით, გთხოვთ, სააგენტოს წარმოუდგინოთ შეძენილი ნივთის დაზიანების ამსახველი ფოტოსურათ(ებ)ი ან/და ვიდეოჩანაწერ(ებ)ი.

დანართის სახით გიგზავნით სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 10 ივლისის №04/1077 ბრძანების ასლს.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ამათი ამაროვი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1077
10.07.2026

# ბრძანება

1077-01-4-202607101100

**მაია ქერელაშვილის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. მაია ქერელაშვილის (პირადი ნომერი 40001001492) 2026 წლის 29 ივნისის №01/5901 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრის, ი/მ თამარ გოგიას (პირადი ნომერი 62001042721), მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**საფუძველი:** სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 9 ივლისის №03/1139 მოხსენებითი ბარათი.

ლევან კალანდაძე



თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი